



1986

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

ხუმოსნობის სინაკული

სსრ კავშირის ხალხთა სპორტაკიადაზე საქართვე-
ლოს სპორტსმენები მეხუთე ადგილზე გამოვიდნენ.

შეჯიბრების შედეგები
ისერიგად მოეწონა,
რომ ეს სპილოს წონის კაცი
უცებ გახდა მჩატე წონა,

გარბის, სტარტი აუღია,
რომ ახაროს შინ თუ გარეთ:
— ვაშა, ვაშა, ეს გამოცდა
ხუთიანზე ჩავაბარეთ!

ნ.ბ. გ. ფირცხალავასი


თიანეთი



ფ. ლევავაძე

— რა ქენი, რომელ ინსტიტუტში მოხაზვენი?

ლოტბარი



სოფელში ლოტბარი გამოგზავნეს რაიონის ცენტრიდან— გუნდი შეკრიბე და სიმღერები შეასწავლეო. შეკრიბეს სოფლის მომღერლები და ლოტბარიც საქმეს შეუღდა. დაჯდა კლუბის დარბაზში, გუნდი გააწყო სცენაზე და თქვა:

— აბა, იმღერეთ ისე, როგორც იცით და შეგიძლიათ. მომღერლებმაც დაიწყეს. მშვენიერი ხალხური სიმღერები დააგუგუნეს. როცა რამდენიმე სიმღერა მოისმინა, ლოტბარმა თქვა:

— რომელია თქვენში რემა ჰედია? მიქეს, ის ჩინებულად მღერისო.

გუნდს გამოეყო შუახნის, თმაქოჩორა, მომღიმარი კაცი და მიაჩერდა ლოტბარს.

— ამხანაგო რემა, მართლაც კარგი ხმა გქონიათ! თქვენ რაიონის ეთნოგრაფიულ გუნდსაც დაამშვენებთ. კიდევ მეტი, როცა კარგად გაიწვრთნებით, რესპუბლიკის ოლიმპიადაზეც მიიღებთ მონაწილეობას. საამისოდ ყველა მონაცემი გაქვთ. რემა გაწითლდა, მაგრამ არაფერი უპასუხა.

— მაგრამ საქირა იმისი ცოდნა, თუ რატომ მღერის კაცი, ვის უმღერის, რა დანიშნულება აქვს სიმღერას? უნდა ვიცოდეთ აგრეთვე სიმღერის ტექნიკური მხარე. ახლა შევედგეთ საქმეს. ყური უგდეთ და დაიმახსოვრეთ, — რასაც ვეტყვი. ეს იქნება ჩემი პირველი ლექცია, ესე იგი თეორია პრაქტიკით. მაშ, დავიწყით!

ლოტბარი ავიდა სცენაზე, დადგა გუნდის წინ და დაიწყო:

— პირველ ლექციაში მე თქვენ გაგაცნობთ მეტყველების ორგანოებსა და მათ არტიკულაციას. მეტყველების ორგანოებს ვკუთვნის: ფილტვები და სასუნთქი ყელი, ხორხი, ცხვირი და პირი. პირის არეს ვკუთვნის წინა და უკანა სასა, კბილები, ტუჩები და ენა. ეს ყველაფერი გასაგებია და ჩვენ ამაზე არ შევჩერდებით ჩვენ შევჩერდებით იმაზე, თუ როგორ ჩნდება ხმა. ხმა ჩნდება ხორხში, ხორხი შედგება ორი ხრტილისაგან, რომელთაც აქვთ სახელები, მაგრამ არ მიმაჩნია საქიროდ მათი დასახელება. შიგ ხორხში არის ჰორიზონტალური კუნთები, ბგერის იოგები, ანუ ძაფები. მათ გვერდით არის ფარისებური ხრტილი და მათ შორის ნახვრეტი, რომელსაც ჰქვია ყია. კიდევ არის რამდენიმე დეტალი ხორხში, მაგრამ ეს თქვენთვის საქირო არ არის. ხორხის ფუნქციას შეადგენს ბგერის გამოცემა. გასაგებია?

რემას გარკვევით ვერ წარმოედგინა რას ელაპარაკებოდნენ, მაგრამ მაინც დაუქნია თავი. ლოტბარმა კი განავრძო:

— შემდეგ. პირის არე არის ბგერის რეზონატორი...

დიდხანს უგდებდა ყურს რემა ჰედია ლოტბარს. ზემო ტუჩი, ქვემო ტუჩი, ღრძილები, ენა, დიაფრაგმა, ინდიფერენტული მდგომარეობა, ლაბილიზაცია, არტიკულაცია, ექსპირაცია... უგდებს ყურს რემა და გრძნობს, რომ რაღაც ცივი და მძიმე დააწვა გულზე. ბოლოს გამოაფხიზლა მიმართვამ:

— ამხანაგო რემა, დაიწყეთ რომელიმე სიმღერა! მაგალითად „სულიკო“.

რემამ დაიწყო. ლოტბარმა შეაჩერა:

— ასე გააჩერეთ პირი. უყურეთ, ამხანაგებო, რემას პირს. ჩვენ გვესმის ბგერები: ა—ა—ი, ა—ა, ე—ე—ი... მითხარით, რემა, რა მდგომარეობაშია ენა და ტუჩები?

რემამ პირი მოკუმა და ჩაფიქრდა.

— გაიმეორეთ და ამისხენით, რა მდგომარეობაშია ენა და ტუჩები და რას ფიქრობთ თქვენ სხვადასხვა ბგერების გახმაურებისას?


რემამ გაიმეორა „საყვარლის საფლავს ვეძებდი“, მაგრამ პასუხი კი ვერ მოძებნა. ერთმანეთში აერია უცხო სიტყვები, მას მხოლოდ ამ სიტყვების დაბოლოება ახსოვდა: აცია, ლაცია, რაცია. არც ის იცოდა, თუ რას ფიქრობდა სიმღერის დროს.

ლოტბარმა უკმაყოფილოდ გაიქნია თავი და ისევ გაამეორებინა რემას. რემამ ახლა სიმღერაც ვერ გაიმეორა. ცდილობდა ისე გაელო პირი, როგორც ლოტბარი უხსნიდა და თან ფიქრობდა, რა არის ის რაცია თუ ლაცია, რომელიც გამოსცემს ამა თუ იმ ბგერას, ხოლო ბგერებიდან სიმღერა ეწყობა? წინათ, სანამ ამაზე არ ფიქრობდა, რემა ბუღბულივით მღეროდა. ხოლო ახლა, როცა ეს უცნაური კაცი დასდგომია თავს, ყველაფერი აერია ერთმანეთში და ხმაც ჩაუწყდა.

— მაკვირვებს თქვენი ამბავი, — მართლაც გაკვირვებით უთხრა რემას ლოტბარმა. — მითხრეს საუკეთესო მომღერალიო, თქვენ კი... აბა, ერთხელ კიდევ... ა—ა—ი... რამდენიმე დღეს ჯახირობდა ლოტბარი რემასთან, მაგრამ სიმღერა გაჰქრა, როგორც შეშინებული ჩიტი.

ის დღე და ეს დღეა, რემამ მიატოვა გუნდი. მართალია, რემა ჰედია ახლაც მღერის, მაგრამ მღერის, როცა გულს ემღერება, ყანაში, ამხანაგებში. ლოტბარისა კი დღესაც ეშინია.

როდინი ქოჩია



სხვა ცნობილ დაავადებათა შორის, მედიცინა იცნობს რამდენიმე უცნაურ დაავადებას.

მედიცინის, ალბათ, გაუგონია ასეთი სენი—მანია გრანდიოზა ანუ განდიდების მანია. ამ სენით დაავადებული თავი წარმოდგენილი პყავს დიდ კაცად—აბოლოონად ან ალექსანდრე მაკედონელად.

უნდა ითქვას, რომ ეს დაავადება მოსახლეობისათვის საფრთხეს არ წარმოადგენს. დე. თქვას გოგოლის შემოღობა:—«ესაწინააღმდეგოდა ალმონი და ეს მეფე მე ვარო!» ჩვენ ამით რა დაგვაკლდება?!

არის მეორე არანაკლებ უცნაური დაავადება—კლუბოზანია. ამ სენით დაავადებული ისე ვერ მოისვენებს, თუ რამე არ მოიპარა. და ეს იმიტომ კი არა, რომ ქურდი, არამედ იმიტომ, რომ მას ასეთი მანია აქვს. მოგპარავს—ესიამოვნება. მეორე დღეს თავში ხვდის შემოიკრავს და მოპარულ ნივთს უკანვე მოგიბრუნებინებს.

არის კიდევ ასეთი ავადმყოფობა: გრაფომანია ანუ წერის მანია. ამ სენით დაავადებული, წარმოიდგენს რა თავს მწერლად, იწყებს წერას და მერე როგორც დღე-ღამეში ერთ ლიტრ მელანს ნთქავს. მის ნაწერებს ქურნალ-გაზეთები არ ბეჭდავენ, თეატრები არ დგამენ. ის კი მანც წერს და წერს. დადის, როგორც დაჩაგრული შეუცნობელი გენიოსი.

სასაცილოა და სხვა არაფერი. არავითარი ზიანი ასეთ გენიოსებს კაცობრიობისათვის არ მოაქვთ.

მაგრამ გრაფომანიას აქვს მეორე სახე და ეს კი უკვე ძლიერ საშიში სენია. ამ სენით დაავადებული არავითარ ტკივილს არ უჩივის, თავს მშვენივრად გრძობს, აქვს შესანიშნავი მადა და სრულიად არ აწუხებს სინდისი და პატიოსნება.

ეს ისეთი სენია, რომელსაც ექიმები ვერ შევლიან და მათი განკურნება მხოლოდ საზოგადოებრივ გაკიცხვას შეუძლია.

გრაფომანიის ამ სახით დაავადებული ლექსებს და რომანებს როდი წერს. მისი სტიქია ცილისმწამებლური ბარათების შეთხზვა, ხელმოწერილი და ხელმოუწერილი საჩუქრების წერა...

გაგაცნობთ ერთ ასეთ ავადმყოფს.

ეს გახლავთ პეტრე ნარიშკინი—ქე გოცაძე?

რა კაცია პეტრე გოცაძე?

მიგუსმინოთ თვითონ მას:

«... ვარ ნამუშევარი ეკონომისტ-საქონლის მცოდნე, მომარაგების უფროსად, ყოველი დაწესებულების ყოველგვარ საქმიანობას კარგად ვარ ცაცნობილი, ვიცი ბუხ-პალატრიაც, გეგმიანობაც და საქონლის მცოდნეობაც»...

არის ყოველმცოდნე კაცი 1953 წლის 16 ნოემბერს მოველინა ჯანმრთელობის სამინისტროს—მომარაგების სამმართველოს საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსად!

ამ დღიდან დაპყრობის ამ დაწესებულების მუშაკებმა სულის სიმშვიდე და მოსვენება პეტრე გოცაძე დაავადებული ალმონი გრაფომანიის მეორე სახით. წაიკაბიწა მკლავები პეტრე და იწყო განცხადებების, საჩივრების და ანონიმური წერილების წერა.

— ყველა გაიძვირა, ყველა!—წერს პეტრე გოცაძე თავის თხზულებებში,— ყველა ქურდი, მიმთვისებელი, არამზადა... უშველეთ ჯანმრთელობის სამინისტროს, თორემ დაიღუპება...

პეტრე გოცაძე თავის თხზულებებს უგზავნის ჯანმრთელობის მინისტრს, მის მოადგილეს, სახელმწიფო კონტროლის მინისტრს, მის მოადგილეს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაკებს, გაზეთ «პრავდას», «კომუნისტის» და «მედრამოტინის» რედაქციებს...

— გვიშველეთ!—ყვირს პეტრე.

ამ განკავშირებულ რევიზორები, ექსპერტები, კომისიები იწყებენ შემოსული განცხადებების შემოწმებას, იხარჯება დრო, ფული, ენერჯია და... პეტრე გოცაძის მიერ შეთხზული ბრალდებები არ დასტურდება.

— როგორ თუ არ დასტურდება!—ყვირს პეტრე,—მაშ ახლა მე მიყურეთ! და წერს პეტრე საჩივრებს სხვა-ამინისტრების, სხვა რედაქციების სახელზე. პასუხი ერთია—არ დასტურდება.

— ამისთანა ცხოვრებას რა ვუთხარი!—ბრაზობს პეტრე გოცაძე,—ამდენ განცხადებაში ერთი როგორ არ უნდა დადასტურდეს!

მის თვალში დაპყრობა ნდობა თბილისში და მოსკოვშიც.

როცა თავის ცილისმწამებლურ საჩივრებზე პასუხს ლეზულობს, ნარიშკინი გაეცა სწორად:

«მე გავაზრდავისთვის არ დამივალდება საჩივარი თბილისში გადმოგზავნა».

«ჯანმრთელობის სამინისტროს ვერ ვენდობი»...

«სახელმწიფო კონტროლის სამინისტრო ცდება»...

«ფინანსთა სამინისტრო ტყუის»...

«პრავდას» რედაქცია არასწორად იქცევა... და სხვა და სხვა.

— როგორ, ბატონო პეტრე, ნუ თუ მოელს ქვეყანაზე არ აღმოჩნდა ერთი პატიოსანი კაცი?

— როგორ თუ არ აღმოჩნდა!—უპასუხებს პეტრე,—მოელს ქვეყანაზე აღმოჩნდა ერთი პატიოსანი და ღირსეული კაცი და ეს კაცი მე ვარ!

ერთ-ერთ თავის მორიგ საჩივარზე პეტრე ნარიშკინის ძემ მიიღო ჯანმრთელობის მინისტრის პასუხი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ბრალდებები არ დადასტურდა. პეტრე იმ წამსვე წაიკაბიწა მკლავები და «გააშანალა» ახალი განცხადება:

«... პარტიკულური მინისტრო,—წერდა პეტრე,—თუ ჩემი განცხადება არ დადასტურდა, ჩაითვალოს იგი გაუქმებულად. გიგზავნით ახალ განცხადებას და ამის საფუძველზე იწყეთ კვლევა-ძიება»...



საიმედო საფარი

თუ ეს ახალი განცხადებაც არ დადასტურდება, პეტრე გოცაძე მასაც გაუქმებულად ჩასთვლის, კვლავ მკლავებს წაიკაბიწებს და ახალ განცხადებას დაწერს.

— კაცო, დავილაღეთ, დავიქანცეთ თქვენი განცხადებების კითხვით და კვლევა-ძიებით!—უბნებია პეტრეს.

— თქვენ კითხვით დაილაღეთ და მე წერით არ დავილაღეთ?... მაგრამ ხომ ხედავთ მანცა ვწერ და ვწერ. თქვენ კი სხვა რა საქმე გაქვთ, იკითხეთ და იკვლიეთ... ამ ახალ განცხადებასაც გაეცანით და გამოპყავით ექსპერტები ხომ, ხედავთ, 16 გვერდზე დაწერილი. სამი დღე და ღამე არ მიძინია.

და გადასცემს პეტრე 16 გვერდზე გაშანალებულ განცხადებას.

— აქ ხომ იგოვია გამოვრებული, რასაც სხვა საჩივრებში სწერდით?

— აბა ახალ-ახალი ბრალდებები სად ვქვიძო ბერს ნუ ლაპარაკობთ, გამოიკვლიეთ. მე დრო არ მაქვს, ახალ განცხადებას ვწერ.

და გზავნის პეტრე გოცაძე ახალ საჩივრებს.

— სხვებს რომ ტალახს ესვრით, თქვენ თვითონ რა კაცი ხართ, ბატონო პეტრე?

— უმალესი განათლება მიმიღია—აი რა კაცი ვარ!..

— კი, მაგრამ ავერ სწერია, რომ თქვენ «საგაბრო კიოსკის გამგედ გიმუშავებთ. ასე უმალესად განათლებული კაცი, ასეთ საქმეზე როგორ მოცდით? თანაც პასუხიგებაში ყოფილხართ მიცემული?

— ეს ჩემი პირადი საქმეა.

— მუშა-მოსამსახურებისათვის ხელფასის დაკლების გამო მოსახურიდან ყოფილხართ მოსწილი.

— მართალია. მერე რა გინდათ?

— დაცა, დაცა... უპ, რამდენი უბრალო და სასტიკი საყვედური გქონიათ გამოცხადებული. ერთი ბურჯინიც არ გყავდათ მათ სატარებლად.

— რა თქვენი საქმეა ჩემი საყვედურები!

— არა, საყვედურებს კი არ გართმევთ, მაგრამ, დალოცვილო, თუ კი თვითონ ასეთი შავნელი თავგადასავალი გაქვს, რა სინდისი გაძღვეს, რომ სხვებს ცილსა სწამებ? ხომ ხედავ შენი საჩივრიდან შემდგარი საქმე 500 გვერდს აღემატება...

— მე რა მენაღვლება, იკვლიეთ, კისერი იმტვირეთ... და საერთოდ, გყოთ იყავით, თორემ ერთ მაგარ ანონიმას თქვენს შესახებაც ვაფრენ ოცდაშვიდი მისამართით.

და წერს და წერს ნარიშკინი ბიჭი (მართლა ბიჭი არ გვეგონოთ, 53 წლის გაბუკია).

ეს იმ ნარიშკინ გოცაძის შვილია, რომელზედაც ძველად ასე შლეროდნენ:

«... მისთვის მიყვარს ნარიშკინი ხიმიანიკას მამა არი».

სიმონიკა არ ვიცით რა კაცი იყო, მაგრამ არა გვეგონია დღეს ვინმე იმდროს: «მისთვის მიყვარს ნარიშკინი, ჩვენი პეტრეს მამა არი».

პირიქით, განსვენებულ ნარიშკინს წყველა-კრულვას უგზავნიან ასეთი მემკვიდრის დატოვებისათვის.

აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ ერთ რამეს ვიტყვი: — არა ხარ შენ კაცი, ბატონო პეტრე!





— ერთი შობაჩი, ეს ჩახვან არა? კვახვან არა? ჩვენი თაო, შენა კვახვანგან არა. საიათნოვა



მრცხენია, მაგრა მანქანა სინაბოლუს ვიტყვი: ცოლი შავ დღეს მაცენებს, ხელდასა ჩაბრუნ მხოლანდ არ მოვუტყვი. ამა როგორ მოიტყვი ხელდას როკა მკაყოფზე მუცის ისეთი დამინაწები, რომლებსაც ჩემთან არავითარი ნათესაური ან მეგობრული ურთიერთობა არა აქვთ, საერთოდ უცნობი არიან ჩემთვის.

მაგალითად ტაქსის შოფერები ჩემს კმაყოფილება არიან. მათ ჩემგან ყოველ ხუთ მანეთზე მიაკვირებენ, თუ ვინ რა მანეთს უნდა ვაქოვო. რომ ტაქსით ვისარგებლო, ათი მანეთი შოფერს უნდა ვაქოვო.

დაისსომებო—ათი მანეთი!
4 ავგისტის ლინენგრობი უნდა გამეშვებოდნენ ოჯახი. სადის პეტრის საშუალებით გამოვიხადე ტაქსი, რომელიც დღის 6 საათსა და 30 წუთზე გამოცხადდა ჩემი სახლის წინ. შეგზარდით მანქანაში და ვიხადე, მრიცხელი 2300 გვე მანეთს უჩვენებს. ცხადია, შოფერის სხვა მგზავრი უტარებია, მისთვის აღნიშნული თანხა გადაუხდებინებია, ხოლო მრიცხელი არ გამოერთავს, რათა ჩემგან განმეორებით წავიკოვო. წამ გეოჯა კიდევ. ავტორჩანის სადგურამდე მრიცხელმა ორი მანეთი კიდევ მოუმატა. სულ გახდა რვა მანეთი. ახლა ორი მანეთი მე მივემარტე, როგორც თავმოყვარე კაცმა. გამოვიდა ათი მანეთი, ნაცვლად ორი მანეთისა. ისე იგი სულ ჩემი უტყუობით, დავაკარგე 8 მანეთი.

ახლა მივემართო ადრე დაკარგულ 10 მანეთს ეს რვა მანეთი. მივიღებ 18 მანეთს.
დაისსომებო—18 მანეთი!
ამრიგად, მივედი ავტორჩანის სადგურში. აქედან ლინენგრობისაკენ ავტობუსი გადის დღის 7 ს. 10 წუთზე. ერთი ჩემოდანი მაქვს და ერთი პატარა ფურცა.

— ამა ეს მარტივად მიატანე!—ბრძანდნენ შოფერი.
კანონით, მარტის წარება ღირს სამი მანეთი. შოფერმა ათი მანეთი გადამახდინა, ე. ი. წამგლეჯა 7 მანეთი.
(თავმოყვარე კაცი ვარ, დავას ხომ ვერ დავუწყებდი!)
მაშ ასე,—მივემართო ადრე ჩემს მიერ გაჩუქებულ 18 მანეთს ეს 7 მანეთი. მივიღებ 25 მანეთს.
დაისსომებო—25 მანეთი!

7 ავგისტის პლებანოვის პროსპექტზე, ერთ-ერთ ფარდულში, რომელიც გასტრონომიული მაღაზიის ფლიალს წარმოადგენს, ვიცილე 5 ეკოლა მაქრის ფუნელი (მოკვანსუნებით, შურაბის სესონია), ეკოლა, რომელიც ვიცილე, ღირს 9 მანეთი და 40 კაპ. 5 ეკოლში გამყოფდეს უნდა ავიღო 47 მანეთი. მივეცი 50 მანეთიანი და ზურა არ დამიბრუნა. მაგრა ამ განა მარტო მე? არც სხვებს დაბრუნა. ვიდექი და ვუცქერდი გამყოფდელ კალს... ეს საკმაოდ სიმართლიერად ვარგებლობის ახალგაზდა ქალ გასაკოვარი გამეზობადათი არცვლად საბუთთა ფასებს ჩემს თვალწინ, ყველას წინ, დღისით, მისით... ვუცქერდი ერთგვარი აღტაცებით ამ წამაქ პორტოქოქმდეს. განა შეიძლება მან არ იცოდეს, რომ ასეთი დანაშაულისათვის წყაქრად ისჯებიან?

ჩემგან წანაგლეჯე 25—მანეთს ეს სამი მანეთი მივემართო იქნება 28 მანეთი.

დაისსომებო—28 მანეთი!
საპირფარეოსად ვიცილე ჩალის შლიაბა, ღირებულე 34 მანეთად. გავიდე 4 თვე, რაც მას ვატარებ. ამ ოთხ თვეში ოცდაათობმეცამაწე თიანი შლიაბის ტარება დამიჯდა 360 მანეთი!

— როგორ და რავკარადო!—გაიოცებეს მყოფთვლი.
აი როგორ:
დღელი კაფეში ჩანს დასალაგებ შედეგად. შლიაბით ხომ ვერ შედეგო? კარგში ცერბრეითი დგას აკამერინგრო და თვალბნისმობრულბს. შლიაბის თითქმის ძალად მართმევის ხელიდან. გამოვალ, მომარწოდებს, ერთ მანეთზე ნაკლებს ხომ ვერ შევადარებო? (მე ხომ თავმოყვარე კაცი ვარ!).

სადღობის დროს რესტორანში შედეგად, შლიაბით ვერც იქ შეხვალ. ასე რომ აქაც მანეთით მაყარამებებო. საღამოს ისევ კაფეში ვარ. აქ კიდევ ერთხელ წამგლეჯენ მანეთს.

დღეში სამეგრეო მისდებდა ამ დასაწყავი ჩალის შლიაბის დაკიდებმა, მანსადავმე, სამ მანეთს საჩუქრად ვაგიჯებ თვეში 30 ლთა, ვავარავლო 3 მანეთი 30—ზე, მივიღებო 90 მანეთს ანუ ოთხ თვეში 360 მანეთს.

ახლა მივემართო ეს 360 მანეთი ადრე ჩემგან გაჩუქებულ 28 მანეთს, მაგიღებო 388 მანეთს.
დაისსომებო—388 მანეთი!

ამ ერთი თვის წინაით ვიცილე სამაქინტროზე მატერია, რაშიც 1.250 მანეთი გადავიხადე. მივიტანე შესაქარად მარტის მხოლანდზე, მოღების ატლეუმი. მიიღეს შეყვითა, მივედი პირველ მარტოვანზე, მერცე მოზომებამე. მესამეზე და... ვამოირკვე, რომ მაქინტრომ ვაფუტეხებულა. მისი ჩაქმა მე არ შემიძლია.

ჩალა მეტირ ვავარძელო, მაქინტრომა ნაცვლად გამაპირათი ფული და იკით ჩამდენი? 1.000 მანეთი, ე. ი. 250 მანეთით ნაკლები. (მეტი არ მომცეს და რა შექნა, დაჯა არ დავფუტო, თავმოყვარე კაცი ვარ!). ამრიგად, აქაც 250 მანეთი ვავარქე.

ახლა მივემართო ეს 250 მანეთი ჩემგან ადრე გაჩუქებულ 388 მანეთს, მივიღებო... ოჰო! საკმაოდ დიდი თანხა ვამოღეს. ზეპირად მიმატება ძნელია. მაშ ასე: 388+250=ნოლი პლეის რვა უღრის რგას; ხუთს პლეის რვა უღრის ცამეტს, სამს უწერთ და ერთს ვინაზეთ; ორი პლეის სამი, უღრის ხუთს, იქაც ერთი შენახული გვექნდა, უწერთ გვეს. ესე იგი სულ—638 მანეთს.
დაისსომებო—638 მანეთი!

კინაღამ დამავარქეო. კაფეში რომ დილა-საღამოს ჩაისა ესვამ, განა ოფიცინანტს ჩემგან ზედმეტი არავფერი მიმაქვს? როგორ არ მიმაქვს. დღეში ორჯერ თითო მანეთი. თვეში ვამოღეს 60 მანეთი. სადღობის დროს ოფიცინანტს სამ მანეთს „კანონიერად“ წამართმევს, სამ მანეთს მე თვითონ, როგორც თავმოყვარე კაცი, ვაჩუქებ ხოლმე, ე. ი. დღეში 6 მანეთი, თვეში 180. ამას მივემართო ზემოთ აღნიშნული 60 მანეთი, მივიღებო 240 მანეთს.

ახლა ეს 240 მანეთი მივემართო ჩემგან ადრე გაჩუქებულ 638 მანეთს. მივიღებო... მოთამაშეთ... მივიღებო... დაცვა ვინაგარიზო... ზო, მივიღებო 878 მანეთს.

აი ახლა ეცადებოდი, ამხანავო ვიგებოლე. ნეტა არ შენახვარინა! 878 მანეთი ჩემი სისბრეითი წყალში ვაღმებო! მერც ვის დავაბოლო? განა ძალით წამართმევს? განა მუტარით წაიღეს!

განა საყვირებელია, რომ ყოველზე ამის შემდეგ ცოლი მისაყვედურებს, ხელდასა სად მივაქვსო?
ცხუბრები! 878 მანეთი! ამა ვინაგარიზო, რის კიდევ შემიძლო ამ თანხით:

10 ეკოლა მაქრისა, 8 ეკოლა კარაქისა, 50 ეკოლა თეთრი პურისა, ორი ფული ლობიოსი, 10 ეკოლა შირინჯისა, ორი ფული კარტოფლისა და სხვადასხვას...

ვაგებ, დამიქუცავია ოჯახი—თითქმის ნახევარი წლის სარჩო მიმიცია ყალბაზანდუბისათვის.
მინდა ჩემი საყვარელი პოეტის საიათნოვას მსგავსად შევივითხო ჩემს თაყ:

... ერთი შობაჩი, ეს ჩახვან არა? კვახვან არა? ჩვენი თაო, შენა კვახვანგან არა.

დადინაებო, გირჩევი დღელიდან ზედმეტს ნუ გადაიხდები. დაზოგე თის ზედმეტი კაპაქები და მანეთს, რომლებიც ყალბაზანდუბისათვის უნდა გეჩუქებინათ. თვის მალში, მეტრის თუ არა, საშუალოდ 4-5 თუმანს მინაც მიიღებო, ე. ი. წყურფავში 680 მანეთს.

ცული ფულია?
განა ქუჩაში იპოვი 600 მანეთს?



— მისი დაგვიწავლოთ ეს მანქანა გემასხვრებთა, თამარ მფევი სად არის დაქარაქმული?
— სწორედ ზუგნი ვიგებოვბდი, პატ. მანწავლებელი, მაგრა დამაწავნა, დავებინა...
— ერთადერთი კაცი ხართ, რომელსაც თამარ მეფის სახლავი გცოდნიათ, ამის დავიწყება კვლარ გაპატიებო!

უქნარა და ზანტი ადამიანისათვის ეს დღე კინემატოგრაფიული სი-სწრაფით მეორდება მთელი წლის განმავლობაში. მაგრამ, აბა ჰკითხეთ კინომოყვარულებს: მათთვის ორშაბათიდან ორშაბათამდე მთელი წელი გადის ხოლმე, რადგან მოუთმენლად ელიან ახალი ფილმის გამოჩენას ეკრანზე. კინომოყვარულთათვის ორშაბათი—ზეიმის დღეა, არ შევცდები, თუ დავაზუსტებ და ვიტყვი, რომ ორშაბათი—კვირა დღეა. ეს სულაც არ ეჩვენებათ პარადოქსად კინოს სიყვარულით მოწამლულ ადამიანებს, აი, თუნდაც ჩვენ—სტუდენტებს, რომლებიც დიდად ვუწყობთ ხელს დღის სენსების დაკანონებას (12 ს. 2 ს. 4 ს.) და დღის ლექციების გადაკანონებას. მაგრამ უკვე ორი ორშაბათი გადის, რაც ამ საერთო ღონისძიების შესრულებას გამოვეითშიე...

მე არაფრით არ განვსხვავდები სხვა სტუდენტებისაგან, და კინოს სიყვარულს გარდა, ერთი გოგონას სიყვარულიც მტანჯავს.

ნარგიზა კინოში გავიცანი პირველად და კინოშივე დავემდურეთ ერთმანეთს. გაცნობის წვრილმანები, მე გგონი, არცერთ შეყვარებულ ადამიანს არ ამახსოვრდება. ამ მხრივ წახსოვებისა და გაბუტვის სენა პირდაპირ განცვიფრებას იწვევს: ისიც კი გამახსოვრდება, რომ ჩხუბის მიზეზი შენ იყავი. მაგრამ, ვაი რომ იმ დღეს სულ სხვა რამ იყო მიზეზი ჩვენი დამდურებისა...

დღის თერთმეტ საათზე ლექციებიდან გავიპარეთ, და თორმეტზე უკვე «სპარტაკის» ჩაბნელებულ კინო-დარბაზში ვისხედით. ნაყინს შევექცეოდით და ველოდებოდით, თუ როდის დამთავრდებოდა კინო-ქორნიკა.

მე და ნარგიზა ყველგან ერთად დავდივართ—კინო-თეატრებში, დღეობებზე, კურორტებზე, პანაშვიდებზე. ერთი სიტყვით, სადაც კი შესაძლებელია ერთად სიარული... რომ შევცდე და სადმე მარტო წასვლა გავუძლო, ცული დღე მეღის. ერთხელ სტადიონზე გავეპარე ნარგიზას, მართალია, მეც ვერ შევედი, მაგრამ ვინ დამიჯერა! ამიტომ თუ კინოს, თეატრის, სტადიონის და სხვა ამგვარ დაწესებულებათა ახლოს თვალს მოვკრავ ნარგიზას ამხანაგს, საგანგებოდ ვაჩერებ და ვარწმუნებ, რომ არსად შესვლას არ ვაპირებ...

ერთი სიტყვით, ნაყინი გავათავებ და კინოქ-რონიკაც გათავდა. დაიწყო ახალი მხატვრული ფილმის ჩვენება. უფრო მოხერხებულად მოვეწყვეთ სკამებზე და, საინტერესო სურათის მოლოდინში, მზად ვიყავით ორი საათით დაგვევიწყებინა ერთმანეთი.

ეკრანზე კოლმეურნეობის კანტორა გამოჩნდა. შემოთვლილი ბუღალტერი რაღაცას ეძებს თავის ქაღალდებში და მალიმალ კარისკენ იყურება, კარი იღება (მხოლოდ სხვა კარი) და ღორების ფერმაში შედის ფერმის გამგე... რაღაცას ჩურჩულებს თავისთვის... არა, შევცდი—ჩურჩული კინო-დარბაზის უკანა რიგიდან ისმის. მე და ნარგიზა უკმაყოფილოდ ვიხედებით ხელისშემშლელისკენ...

ფერმის გამგე გოჭებს ითვლის. 25 გოჭია. ქაღალდზე კი, რომელსაც ხელში აფრიალებს, 29 გოჭი წერია... ფერმის გამგე რაღაცას ბუტბუტებს თავისთვის... არა, კიდევ შევცდი, ისევ უკანა რიგიდან დაარღვიეს სიჩუმე, ახლა დაბღვერილი მიგუბრუნდი უხილავ წესრიგის დამრღვევს. ის კი აი, რას ეჩურჩულება მეზობელს: «ფერმაში გოჭები აკულიათ, რვეიზიას ელოდებიან, ახლა ფერმის გამგე წავა და სახლიდან საკუთარ გოჭებს მოიყვანს».

— მეგობარო, თუ შეიძლება ცოტა ჩუმად! — ეუღარ ვითმენ და ვსაყვედურობ.

— თქვენ თუ ნახეთ ეს ფილმი, ჩვენ არ გვინახავს და სულაც არ გვინტერესებს წინასწარი ახსნა-განმარტება, — მხარს მიჭერს ვიღაც ჩასუქებული ქალი, რომელიც ნარგიზას გვერდით ზის და გაზეთის ქნევით სახეზე წასმულ ოდეკოლონის სუნს ავრცელებს დარბაზის პერიფერიებისკენ.

ფერმის გამგეს მართლაც მოჰყავს თავისი სახლიდან ოთხი გოჭი და ფერმაში უშვებს, როგორც კოლმეურნეობის საკუთრებას...

... სოფლის სადგურთან ჩერდება სახალხო მატარებელი, ვაგონის ფანჯრიდან იყურება ახალგაზრდა კაცი, ხელში ცარიელი ბოთლი უჭირავს. იგი შეამჩნევს სადგურის მოშორებით წყაროს, ვაგონიდან ჩამოდის და წყაროსკენ გარბის, თან ასე ჩურჩულებს გზადაგზა: «ახლა მატარებელი დაიძრება და ეს მგზავრი დარჩება სადგურში».

— ბოლოს და ბოლოს, აღარ გაათავებთ ლაპარაკს?! — ვყვირი და აღლევიბისაგან ვდგები კიდევაც.

— თქვენი საქმე არ არის! — მშვიდად მიპასუხებს ჩურჩულის მოყვარული, რომელსაც ეს ფილმი უნახავს და ვედარ იძიქნის, რომ ყველაფერი წინასწარ არ უთხრას მეზობელს.

მატარებელი მართლაც აიძრა და მგზავრი დარჩა სადგურზე. მთელი წყება ღელვისა და კითხვა-კითხვის შემდეგ იგი სადგურის მორიგისაგან გაივებს, რომ შემდეგი მატარებელი მხოლოდ სამი საათის შემდეგ ჩამოივლის. მატარებელს ჩამორჩენილი მგზავრი სოფლის გზაზე გადის და ჩრდილს ეძებს. გზაზე გამოჩნდება კოლმეურნეობის ბუღალტერი და ფერმის გამგე. მათ სადღესასწაულო ტანსაცმელი აცვიათ.

— ახლა ესენი ჩამორჩენილ მგზავრს შეხვდებიან და რვეიზორად მიიჩნევენ, — მიჩურჩულებს ნარგიზა.

წუთიც და ბუღალტერი და ფერმის გამგე მართლაც ხვდებიან მგზავრს და მართლაც რვეიზორი ჰგონიათ. ელდანაცემივით ვზრუნდები ნარგიზასაკენ:

- როდის ნახე შენ ეს ფილმი?
- დედას გეფიცები, არ მინახავს, — ჩურჩულებს ნარგიზა
- აბა, საიდან იცოდი?

ნარგიზას უნდოდა ეპასუხა, მაგრამ ჩასუქებულმა, ოდეკოლონი აშშორებულმა ქალმა მრისხანედ გადმოგვხედა.

«ასე, ქაღალტონო!.. მე მიშლი და შენ კი თურმე უჩემოდ დადიხარ კინოებში? კეთილი, გათავდება ფილმი და გაგისწორებ ანგარიშს». ვფიქრობ გულში და თვალებს მიცრემლებს ნარგიზას მოულოდნელი ლატის აღმოჩენა.

... როდესაც ფერმის გამგე მგზავრის მამის სახელს გაიგებს, იცრუებს, თითქოს ძველი და კარგი მეგობარი იყოს მამამისისა, ამიტომ განსაკუთრებულ პატივისცემას და გამგის ოჯახში გაშლილ პურ-მარილს მგზავრი ამ გარემოებას მიაწერს... იწყება ქვიფი.

... იმავე სადგურზე ჩერდება მატარებელი. ჩამოდის ერთი მგზავრი, შუახნის კაცი, ხელში პორტფელი უჭირავს. მიიკითხ-მოიკითხავს და სოფლის გზას დაადგება.

მე ნარგიზასკენ ვიხრები და ვეჩურჩულები:

- ეს მგზავრი ნამდვილი რვეიზორი და იმ პირველი მგზავრის მამაა...


შუახნის მგზავრი მართლაც რვეიზორი და პირველი მგზავრის მამა აღმოჩნდება. პიჯაკის სახელო მძლავრად დამქაჩეს:

- როდის ნახე შენ ეს ფილმი?! — სისინებს ნარგიზა.
- დედას გეფიცები, არ მინახავს, — ეუპასუხებ შემერთალი.
- ბოლოს და ბოლოს, გაათავებთ თუ არა ლაპარაკს?! ისმის უკანა რიგიდან ნიშნისმოკვებით...

— აბა, საიდან იცოდი?! — აგრძელებს ნარგიზა და კითხვას, ერთბაშად დგება და შუა კინოდან გარბის, მეც უკან მივყვები.

აი, ასე დავემდურეთ ერთმანეთს. მართალია, ორშაბათი დღე იყო, ისიც მართალია, რომ ახალი კინო-ფილმი პირველად გადიოდა და თბილისელთაგან, ჩვენ პირველნი ვუყურებდით, მაგრამ მაინც ვერავინ ვერ დამარწმუნებს, რომ ნარგიზას წინათ არ უნახავს ეს სურათი, და, ალბათ, არც მე ვუყურებდი პირველად.

ა. ჯიფიანი



ნახ. ირ. გორდელაძისა


თ ა ვ ი ბ ა ს ს ი

- რა მოგეჩვენა, ვიღაც სხვა კაცის სახელს რომ მეძახი და თანაც მეფერები?
- არაფერი, ჩემო კარგო, ხალათში რომ დაგინახე, სანატორიუმი მომაგონდა...



ნახ. დ. ერისთავისა



- მომბლის ჩაჭრა განმეორებით გამოსდა
- კალამი გადაყლაპა დღეს და სკოლაში იმიტომ ვერ გამოცხადდა, ბატონო.
- არა უშავს, მოვიდეს, ფანქრით დავაწერიწებ.



ჯარიმდებიან კიეველები (ხელით თამაშის გამო)



ჯარიმდებიან თბილისელები. (ფეხით ყვავილების გათელვის გამო)



სასიხარულო მე-5 ადგილი

— ალო, ალო, გელაპარაკებათ ნიანგი, შემაერთეთ მოსკოვს, მოსკოვია? შემაერთეთ ლუენიკის ახალ სტადიონს. ახალი სტადიონია? შემაერთეთ ჩემს საკუთარ კორესპონდენტს... შენ ხარ, ბიჭო? გამარჯობა შენი, აბა, დაყაქე ჩქარა ცხელ-ცხელი ამბები... ჰო, რა თქმა უნდა, სპარტაკიადის საბოლოო შედეგები მაინტერესებს.

— ყველაზე ცხელი ამბავი ის არის, რომ საქართველოს გუნდი მეხუთე ადგილზე გამოვიდა.

— რაო, რაო?

— საერთო მეხუთე ადგილი მოვიპოვეთ-მეთქი.

— რომელი, კაცო?!

— მე-ხუთე, არ გესმით? გადმოგცემთ ასობით: მ-მარლანია, ე-ელოშვილი, ხ-ხასაია...

— რას ამბობ, კაცო, მეხუთე ადგილზე გამოვიდნენ ქართველი სპორტსმენები? ხომ არ გეშლება?

— როგორ გეკადრებათ, ნიანგოვიჩ.

— კარგი, კარგი, ჩვენზე წინ ვინ არის?

— მხოლოდ რუსი და უკრაინელი სპორტსმენები.

— მშენიერია, ბრწყინვალე! ესე იგი, რესპუბლიკებს შორის მესამე ადგილი აგვიღია. ახლა ცალკეული შედეგები მაინტერესებს, კალათბურთელები როგორ გამოიყურებიან?

— კალათბურთელები, ნიანგოვიჩ, დღეიდან ველარც თვალში გამოიყურებიან და ველარც გარეთ.

— რა მოხდა, დახურულ დარბაზებში გადაიტანეს თამაშები?

— არა, მაგრამ ქულები დაიხურეს და ფინალიდან გავიდნენ.

— შეურცხვეთ ვაჟაკობა, ძველად შუა მოედნიდან ისროდნენ კალათში...

— ახლა თვითონ მოკალათდნენ შუაში, 18 გუნდა შორის მე-9 ადგილი აიღეს.

— ნინო დუმბაძემ რა ქნა?

— მეცამეტე ადგილზე გადაფრინდა.

— რაო? მეცამეტე? ამდენხანს ბადროს აფრენდა და ახლა თვითონ დაიწყო? მაინც როგორ მოახერხა, ბადრო არ გადაუგდია?

— როგორ გეკადრებათ, ნიანგოვიჩ, რა დროს გადაგდება! ნინო ჯერ კიდევ აპირებს თავისი მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებას.

— ფეხბურთელებზე რას მეტყვი?

— ფეხბურთელებზე? იმდერეთ და მე მეორეს გეტყვით.

— რას ამბობ, კაცო, მეორე ადგილი მოიპოვეს? ლამისა მართლაც ავმღერდე სიხარულისგან.

— წყალბურთელებიც და თავისუფალი ქიდაობის ოსტატებიც მეორე ადგილზე არიან.

— ყოჩაღ, ბიჭებო, ყოჩაღ. მართალია, ბევრი არაფერი მომცეს საკბილოდ, მაგრამ მაინც მადლობელი ვარ, ცოტას დავისვენებ და მათაც დავასვენებ. დანარჩენ სპორტის სახეებზე რას მეტყვი?

— ახლა ველარაფერს გეტყვით, ნიანგოვიჩ, რადგან სალაპარაკო დრო გათავდა და ტელეფონთან ესტონეთის წარმომადგენელი იცდის... მეექვსე ადგილი მოიპოვეს სპარტაკიადაში.

— მიულოცე, მიულოცე ჩემს მაგივრად. კიდევ ვინ იცდის ტელეფონთან?

— ესტონეთის შემდეგ ბელორუსიის წარმომადგენელი დგას, მერე ლატვიის, სომხეთის, აზერბაიჯანის და ა. შ.

— მიულოცე, ყველას მიულოცე ჩემს მაგივრად, „ნიანგის“ სპორტული სალაში გადაეცი სპარტაკიადის ყველა მონაწილეს.

— ჩვენს კალათბურთელებსაც—ხომ?

— ჩამოვიდნენ აქ და... მაგათ პირადად გადავცემ ჩემს „მოკითხვასა და ნახვის ნატვრას“.

— ნახვამდის, ნიანგოვიჩ!

— ნახვამდის... ალო, ალო, ჩვენმა ფეხბურთელებმა რომელი ადგილი აიღესო?

— მეორე.

— ოჰ, შენს პირს შექარი!

საუბარი ჩახწერა ომეგა ალფაიქიმ



პირველი გაკვეთილი

- ეს კიბეა, მამა რომ გვეუბნებოდა ხვალთან სკოლის კიბეზე შეაბიჯებოთ?
- უი, ამაზე როგორ უნდა ვიაროთ, ლამისაა დირექტორიც ჩამოვარდეს.

ნ. ნ. მალაშონკო